



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 377

ქალაქი ქუთაისი 29 მარტი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ აღნაგობის უფლებით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოს“ დირექტორის 17.02.2017 წლის N4516/01 განცხადების შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ /ს.კ 212833790/, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N17-ის დასავლეთით მდებარე სკვერის ნაწილის /ფართობით: 310.0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.01.379/ 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, აღნაგობის უფლებით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** წლიური ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 03.02.2017 წლის N57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის“ 10.03.2017 წლის N196-ქ დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 4840.0 /ოთხიათასრვაასორმოცი/ ლარს.

**მუხლი 3.** წლიური ქირა ყოველი 5 /ხუთი/ კალენდარული წლის შემდეგ უნდა გაიზარდოს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფლაციის ინდექსის მაჩვენებლის 5 /ხუთი/ წლის ჯამური ოდენობის შესაბამისად.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს აღნაგობის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი

ნიკოლოზ ლატარია